F20 № 13001

დროება

ყოველდღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 18 ნოემბერი 1908 წ. № 1

ფასი გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განაცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დღევანდელ ნომერში 26 გვერდია

ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილისა შვილებით და მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ მეუღლის, მამისა და ძმის

ალექსანდრე ზაქარიას ძის გაბაშვილისას.

ცხედრის გამოსვენება სამშაბათს, 18 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, წმ. სამების ეკლესიაში საკუთარ სახლიდან მოსკოვის ქუჩაზე, № 6. დაკრძალვა სოფელ ოქროყანაში. (1—1)

თამარ ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე ზაქარიას ძე მაყაშვილები, ნინო ალექსანდრეს ასული და ალექსი სიმონის ძე შირსკი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ მამის და სიმამრის

ალექსანდრე ზაქარიას ძის გაბაშვილისას.

ცხედრის გამოსვენება სამშაბათს, 18 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, საკუთარ სახლიდან მოსკოვის ქუჩაზე, № 6, წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა სოფელ ოქროყანაში. (1—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტონ ეიხენვალდის გამგეობით

დღეს, სამშაბათს, 18 ნოემბერს, ვ. სარაჯიშვილისა და ქ-ნ დრუზიაკინას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„ევგენი ონეგინი"

მონაწილენი: ქ-ნნი არდ. დრუზიაკინა, ლავროვა; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, სარაჯიშვილი, როსოლიმო, სიმონოვი და სხ.

დირიჟორი ი. ფალიაშვილი. რეჟისორი ც. ო. ურბანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 19 ნოემბერს ბენეფისი დრუზიაკინისა—„კარმენი".

კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страхового Общества. Телефонъ N 148.

ფასები საწყობში:

ვაგონობით (120 ყუთი) . 1 მ. 80. კ. ყუთი
ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლებით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—6—3) დირექტორი ს. ტილიჩეევი.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ბორჩნი, N 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. [illegible]იალამშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

!!!წაიკითხეთ!!!

ქუთაისში, ალექსანდრე კოსტავას [illegible]ლაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ს-ეს არის მიღებული ყოველ გვარი მეკერილი ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთული მატერიები კაცის სატანისამოსოთ, რომელსაც ვკერავთ არშიობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

ფასები ძლიერ დაკლებულია (7—ფ—3)

ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11-დან 1-ლ ს. და საღამოთი 5—6 ს. ვერა, ოლღგას ქუჩა, N 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—599—22)

ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლღას ქუჩა, N 33. (25—6.—2)

[illegible] „ნაკადულის" ხელის მომწერთ ეძლევათ მარკ ტვენის „ტომის თავგადასავალი" თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა. ვინც სრულ ფასს არ შემოიტანს „ნაკადულისას" მათ პრემია არ გაეგზავნებათ. (5—უ.—3)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი [illegible] ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. [გო]ლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

16 ნოემბერს „ნაძალადევის" სამრევლ. სკოლაში ხელ-ახლა იწყება სწავლა საკვირაო სკოლაში ქალთათვის: 14 წლიდან 40 წლამდენ. (3—უ.—3)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—28)

ქ. ქუთაისში

თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი გუთანი, ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—10)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგუბერნიო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—33.—4)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარცხ მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—71)

ექიმი მ. ი. ბეგიშვილი ქუთ. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს შინაგან, ქალთა და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქ., ს. ფიფინოვისა, N 4. (5—უ—8)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—10)

ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბეგიშვილი იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—6)

სამკურნალო ქუთაისში ქირურგიული და ქალთა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოდნებელ ოთახით ექიმი ევ. გოკიერიასი

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—5)

ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია ყურის ყვავილს. იღებს ყელჭირვების, ზუნაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—8)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—30)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდა[illegible]დან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი N 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიულ., ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—ბავ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 12 ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურისა, ყელი. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—79)

კერძო ვექილი ი. რ. რეცოლდი

(სასამართლოს ქ., 12, ბინა ჟუკოვისა), აძლევს რჩევებს სასამართლოს საქმეების გამო, ადგენს იჯარისა და ნასყიდობის კონტრაქტებს, პროექტებს მემკვიდრეობის გაყოფისას, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებს და თხოვნებს განქორწინებისა და რკინის გზის საქმეებზე, აგრეთვე ნიკვდილისა და დაშავებისთვის და საქონლის დაკარგვისთვის. (1—630—1)

ტფილისი, 18 ნოემბერი.

ქართულ გაზეთის ისტორია უწევს, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე თუ არ ჩავთვლით დოდაშვილის გაზეთს ამავე საუკუნის დასაწყისში. ამ წელს პირველად იდვა თავს ქართველ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა გაზეთის გამოცემა. პირველ გაზეთს „დროება" ერქვა. ამავე სახელით დღეს, თითქმის ნახევარ საუკუნის შემდეგ, ვიწყებთ ჩვენ ამ ახალს გამოცემას. განვლილ ნახევარ საუკუნეში საქართველოს ცხოვრება მრავალ მხრივ შეიცვალა. შეიცვალა გაზეთის გამოცემის პირობებიც. ნახევარ საუკუნის წინად ქართული გაზეთი მხოლოდ ნასწავლ თავადაზნაურულ ქართველობის ვიწრო წრეს ესაუბრებოდა. დღეს ქართული გაზეთი უკვე ხალხის საყოველდღეო საჭიროებად არის ქცეული. მართალია, ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე გაზეთის მკითხველი მთელი ქართველი ხალხი შეიქნება. მაგრამ დღესაც საკმაოდ ფართო მკითხველთა წრე ეწაფება ქართულს პრესსას. მართალია ისიც, რომ ქართულ გაზეთის გამოცემა ეხლანდელ პირობებში მეტად მძიმე საქმეა, მაგრამ როგორც ამ ნახევარ საუკუნის წინად არ შეუშინდნენ გაზეთის გამოცემის მძიმე ტვირთს ქართულ პრესსის პიონერები, ისე ეხლაა საჭირო გამაგრება და სიმხნევე. ჩვენს პირობებში გაზეთი ერთ-ერთი ძვირფასი იარაღია ქართველ ხალხში სალის შეგნების შესატანად და მიმდინარე საკითხების რთულ ხასიათის განსამარტავად. რაც უნდა მძიმე ტვირთი იყოს გაზეთის გამოცემა, ჩვენი კულტურის მოამაგეებმა ეს ტვირთი მაინც ერთგულად უნდა ზიდონ.

ამ აზრით გამხნევებულნი ვიწყებთ ახალ გაზეთის გამოცემას და ღრმად გვწამს, რომ თანდათან გაუმჯობესდება როგორც საერთოდ ქართველ ხალხის მდგომარეობა, ისე ყველა ქართულ კულტურულ საქმეთა მდგომარეობაც.

ამ ცოტა ხანში სახელმწიფო სათათბირო მოისმენს და გაარჩევს შეკითხვას კავკასიის საქმეთა შესახებ. საყურადღებოა, რომ ამ შეკითხვას სწორედ მაშინ აყენებენ მიმდინარე საქმეთა წინა წყებაში, როცა გამოირკვა, რომ სათათბიროს ყველა ფრაქციას აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევიათ საერობო თვით-მმართველობის შემოღება იმპერიის ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ ერობა ისევ განუხორციელებელია. ეს შეხვედრა კავკასიის შეკითხვისა და თვითმმართველობის საკითხისა შესაძლოა შემთხვევითი იყოს, მაგრამ ის კი მაინც უეჭველია, რომ შეკითხვას კავკასიის საქმეთა შესახებ ეხლა არსებითად მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ იმის სარბიელზე უნდა გადაწყდეს კავკასიის რეფორმების ბედ-იღბალი.

როგორც შეკითხვა კავკასიის საქმეთა შესახებ, ისე განზრახვანი კავკასიაში რეფორმების მოხდენაზე კაი ხანია ყბად ასაღებ საქმედ გადაიქცნენ. შეკითხვა და რეფორმების საქმე თითქმის პარალელურად მწიფდებიან, რა თქმა უნდა, სხვა და სხვა მიმართულების წრეებში. შეკითხვის ავტორებს, მემარჯვენე დეპუტატებს განზრახული აქვთ, დაარწმუნონ სათათბირო, რომ კავკასიაში სრული ანარქიაა და რომ ამ ანარქიის ერთად-ერთი წამალი რეჟიმის სისასტიკეა. ამ აზრის გასატარებლად შეკითხვის ავტორები ხელზე იხვევენ კავკასიაში უკანასკნელ წლების განმავლობაში მომხდარ უწესოების ინციდენტებს და დაასკვნიან, კავკასიის ადმინისტრაციის სათავეში რომ სასტიკ რეჟიმის მიმდევარი მოხელენი მდგარიყვნენ, ეს ამბები არ მოხდებოდა, ხოლო ეხლა ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მთელი ამიერ-კავკასია ხელახლა დასაპყრობი ქვეყანაა, დაპყრობა კი სამხედრო ძალით შეიძლება და არა რეფორმებითაო. სწორედ ამავე მოსაზრებაზე ამყარებდნენ ორიოდე თვის წინად მემარჯვენენი კავკასიის ნამესტნიკის წინააღმდეგ დაწყებულს კომპანიას. ამ კომპანიამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა და ეხლა არა გვგონია სერიოზულად ჰფიქრობდეს ვინმე, რომ შეკითხვას კავკასიის საქმეთა შესახებ შეეძლოს ნამესტნიკის ფეხ ქვეშ ოდნავ მაინც ნიადაგი შეარყიოს. ეს დაუჯერებელია და არც არავის სჯერა. ეს გარემოება, ჩვენის ფიქრით, უკარნახებს შეკითხვის ავტორებს, იმდენი ყურადღება მოხელეთა სისუსტეს ე. ი. ლმობიერებას ან, როგორც თითონ ამბობენ ოფიციალურად, უკანონო საქციელებს არ მიაქციონ, რამდენიც კავკასიის შინაურ ცხოვრების პირობებს. კავკასიისთვის სასტიკ რეჟიმის მონატრულნი უკვე საკმაოდ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრატორთა წინააღმდეგ პირადად მიმართული მეცადინეობა მიზანს ვერ აღწევს. ეხლა იმათი გულის წადილი ის და უნდა იყოს, რომ შეკითხვის საშუალებით გამოარკვიონ რეფორმების შეუსაბამობა კავკასიის ცხოვრების პირობებთან.

ასეთ მიმართულებას მისცემენ თავიანთ შეკითხვას მემარჯვენენი, ჩვენის აზრით, და აი, სწორედ ამას უნდა გაუმკლავდნენ შეკითხვის გარჩევის დროს კავკასიელი დეპუტატები. კავკასიელ დეპუტატებს დიდძალი მასალა უნდა ჰქონდეთ ხელში იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასია რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებისაგან არ განსხვავდება არც ეგრედ წოდებულ წესიერების დარღვევით და არც რეპრესიებით. ჩვენებურმა დეპუტატებმა უნდა აღადგინონ სათათბიროს წინაშე სრული სურათი წინა წლების არეულობისა, უნდა გამოარკვიონ ამ არეულობის ზოგადი სარჩული, უნდა ცხად ჰყონ, რომ ძირითადი მიზეზი არეულობისა დიდის ხნის მომწიფებულ რეფორმათა განუხორციელებლობა იყო და, ბოლოს, უნდა დაანახონ ხალხის წარმომადგენლებს ის სისასტიკე, რომელიც გამოიჩინეს კავკასიაში დამსჯელმა რაზმებმა, ეგზეკუციებმა, პოლიციის რაზმებმა და სამხედრო მმართველებმა უწესოებასთან ბრძოლაში. ჩვენმა დეპუტატებმა ფართოდ უნდა ისარგებლონ შემთხვევით და შეურყეველის, ცხოვრების სინამდვილიდან ამოკრეფილის ფაქტებით და საბუთებით უნდა დაანახვონ მთელს რუსეთს, რომ ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში სრულ ნორმალურ ცხოვრების დასამყარებლად მხოლოდ რეფორმებია საჭირო. მემარჯვენეთა შეკითხვა კავკასიის დეპუტატებმა ჩვენს ქვეყანაში რეფორმათა განხორციელების წინასიტყვაობად უნდა აქციონ. ამ მიზნის მისაღწევად კავკასიის მახლობელი წარსული და აწმყო მდგომარეობა მათ დიდძალ მასალას აძლევს ხელში. სიმართლე მათს მხარეზე იქნება, საჭიროა მხოლოდ ამ სიმართლის გამოფენა სათათბიროს ტრიბუნიდან.

ეხლანდელი სათათბირო ჩვენთვის, განაპირა ქვეყნების მცხოვრებთათვის სანუგეშო და საიმედო დაწესებულება არ არის. ჩვენ არ გაგვიკვირდება, რომ სათათბიროს უმრავლესობამ სიმართლის ხმას ყური მოუყრუოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად სიმართლე მაინც უნდა ითქვას.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველებს გაზეთებიდან, ეჭვი არ არის. ეცოდინებათ იმ რეფერატის ამბავი, რომელიც ბ-ნმა იონა მეუნარგიამ წაიკითხა ქუთაისში ილია ჭავჭავაძის საღამოზე. ამ რეფერატისთვის ბ-ნი მეუნარგია ყველა ქართულმა გაზეთმა გაჰკიცხა. რეფერენტი შეეხო ილია ჭავჭავაძის წვრილ და უმნიშვნელო ნაკლულევანებებს. მწერლის, განსაკუთრებით ისეთ დიდი მწერლის, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ყოველ მხრივ შესწავლა თავის ნაკლულევანებებითა და ღირსებებით საჭირო კი არა, აუცილებელიც არის. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მწერლის ხსოვნის პატივ-საცემად გამართულ საღამოზე არავის არ მოუვა აზრად მისი ლანძღვა და გინება. ამასთან იქ, სადაც ნაკლულევანებებს ჩამოსთვლიან, ღირსებებსაც არ ივიწყებენ. ბ-მა მეუნარგიამ კი ყოველივე ეს დაივიწყა.

ჟურნალ „საქართველოს" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წერილი ამ საგნის შესახებ. ავტორი ასე ახასიათებს იონა მეუნარგიას:

> ბევრს ძლიერ უკვირს ყოვლად სამარცხვინო საქციელი მეუნარგიისა. ჩვენც გვიკვირს, მაგრამ არა ძლიერ. მეუნარგია ეკუთვნის იმ სულიერების ტიპს, რომელთაც უფრო ნიჭიერ და განვითარებულ მოღვაწეებათ მოაქვთ თავი, ვიდრე ნამდვილად არიან. მას მიუღია ფელეტონური განათლება და მეფელეტონედვე ჩავა საფლავში. უცხოია მხოლოდ ზედაპირი, წენგო განათლებისა, გულამდინ კი ვერ მიუწვდია. არავითარი ღრმა იდეა, არავითარი გარკვეული მიმართულება მას არცა ჰქონია და არცა აქვს. მტკიცე და მუდმივი იყო მასში მხოლოდ ნება-ყოფლობითი ადიუტანტობა გენერლებისა. მათ გარემო ტრიალებდა, მათ თავს ევლებოდა, ეტრფოდა, მათ ბიოგრაფიებს სწერდა. მიკვირს რატომ სამხედრო სამსახურში არ შევიდა—საუცხოვო ადიუტანტი იქნებოდა. ნელთბილი კოსმოპოლიტი, უფრო კიდევ ნელთბილი მამულიშვილი იყო. სადამდის მივიდოდა ეს ნელთბილობა, სჩანს იქიდან, რომ არც ერთს თავისს შვილს ქართული თურმე არ ასწავლა და როცა ამაზე ექიმმა ბადრიძემ ქართულს პრესაში საკითხი დაუყენა, ენა ჩაუვარდა, კრინტი ვერ დასძრა. სამაგიეროდ, ასეთი მისი საქციელი ვოსტორგოვს მეტად აზარებდა და ხელზე ჰქონდა დახვეული. ასეთს სულიერს განა შეეძლო შეეგნო და დაეფასებინა ილია ჭავჭავაძე! ეს მისთვის ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც ნაპოლეონის ლაქიასათვის თავის ბატონის ღირსების მიხვდომა, დაფასება. მაგრამ მარტო შეუგნებლობით ვერ აიხსნება მეუნარგიას საარაკო საპრიყვე. აქ უსათუოდ დამალულა რაღაც საიდუმლო განზრახვა, პირად ნიადაგზე აღმოცენებული.
>
> ბევრად უფრო საკვირველია საღამოზე დამსწრე საზოგადოების საქციელი; იმერნი წინად განთქმულნი იყვნენ თავიანთ ნაზ და ძლიერ გრძნობით. ამ შემთხვევაში კი გრძნობის აშკარა სიჩლუნგე და სიდამბლე გამოიჩინეს. ბრიყვი ლექტორი მთელს საათს „მიწასთან ასწორებდა" მათ სათაყვანებელს ილიას, შეურაცყოფას აყენებდა მათს წმინდა წმინდასა, ურცხვი ჭორებით ჰბერავდა დამსწრეთ და ესენი მხოლოდ უძლურს სუსტ უკმაყოფილებას აცხადებენ. შეგნებული და გრძნობა განვითარებული საზოგადოება სულ სხვანაირად მოიქცეოდა: აღვირ ამკვეთელს ლექტორს იმავ თავით ხმას გააკმენდინებდა, როგორც ერთი კაცი ფეხზე წამოიშლებოდა და მრისხანედ შესძახებდა: გარეთ გაეთრიო.

სახელმწიფო სათათბირო

კანონ-პროექტი მუშათა შესახებ.

სათათბიროს მე-13 სხდომაზე მცირე კამათი იყო ერთ-ერთ კანონ-პროექტის გამო მუშათა შესახებ. კომისიამ წარმოადგინა კანონ-პროექტი დაშავებულ და უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ მუშათა და მათ ოჯახთა დაჯილდოვების შესახებ. კომისიის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად მთავრობასაც შეუმუშავებია ასეთივე კანონ-პროექტი და ამიტომ სჯობს ეს პროექტი ისევ კომისიას დაუბრუნდეს მთავრობის პროექტთან შესათანხმებლადაო.

სტეპანოვი აღნიშნავს, რომ ხსენებული კანონ-პროექტი უკვე ერთი წელიწადია კომისიაში არის; ასეთი გრძელი ვადები შეუწყნარებელია და ამიტომ უნდა ჩვენ თვითონ დავუდოთ ვადა. **კამენსკი**

17 ოქტომბრის კავშირის ფრაქციის სახელით წინადადებას იძლევა—ორი თვის ვადა მივცეთ კომისიასო. „ჩვენი ფრაქციაო, აცხადებს ორატორი, მოვალეობად სთვლის მუშათა დაცვას არა ტაქტიკური მოსაზრებით, არამედ სინიდისის ბრძანების თანახმად“. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **პოკროვსკი** ეურთდება ოქტომბრისტების განცხადებას მთავრობის სურვილიცაა, მაინცა და მაინც გრძელი ვადა არ დაენიშნოს კომისიასო. ს.-დემოკრატები **პოკროვსკი მე-2, ეგოროვი** და **კუზნეცოვი** აღნიშნავენ, რომ მუშები ვერ ენდობიან 3 ივნისის სათათბიროს, ამ სათათბიროს მუშათა კომისიას ანტიმუშათა კომისიად სთვლიან და მისგან არავითარ სიკეთეს არ მოელიანო. კანონ-პროექტის უკანვე დაბრუნება კომისიაში საჭირო არ არის, ეხლავ განვიხილოთ აქაო. **პეტროვ მე-3** ტრუდოვიკების მხრით და **ვორონკოვი** კ.-დემოკრატების მხრით საჭიროდ სთვლიან კომისიას ორი კვირის ვადა დაენიშნოს. ზომიერ მემარჯვენეთა მხრით **კრუპენსკი** ერთი თვის ვადას უნიშნავს კომისიას; ამ წინადადებას ემხრობიან ოქტომბრისტებიც და ხმის უმრავლესობით სათათბირო იწყნარებს ამ წინადადებას.

აგრარული საკითხი.

შემდეგ სათათბირო განაგრძობს კამათს 9 ნოემბრის კანონის შესახებ.

იუშკევიჩი გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვების მომხრეა, მაგრამ ამავე დროს სათემო მფლობელობიდან გამოყოფის უფლებასაც იცავს.

კელეპოვსკი (უკიდ. მემარჯვენე) მილიუკოვის იერიშისაგან ცდილობს დაიცვას თავად-აზნაურობა. ამ უკანასკნელს ფიქრადაც არ მოსვლია გლეხთა დამონავებაო. შემდეგ ვიტტეს ლანძღავს: ამ ვაჟბატონმა შეთხზა ყოვლად შეუწყნარებელი აგრარული პროექტი იძულებით გამოსყიდვაზეო. საბედნიეროდ ვიტტეც და კუტლერიც გადაყენებულ იქნენ. დარჩა მარტო მილიუკოვი, მაგრამ ამასაც მალე დააფასებს ღირსეულად ხალხიო.

გლეხი **ანდრეიჩუკი** იცავს 9 ნოემბრის კანონს, მაგრამ დასძენს, რომ აგრარულ საკითხს მარტო ეს კანონი ვერ გადასწყვეტსო.

ბალაკლეევი (მემარჯვენე) აღნიშნავს, რომ 9 ნოემბრის კანონის ნაკლულევანება ის არის, რომ თემის უფლებას არ იცავსო. ეს რევოლიუციაა მაღლიდან, რომელიც ძირიან-ფესვიანად არყევს ძველ წესწყობილებასო. ამიტომ იმ სახით, რომელიც მთავრობამ მისცა 9 ნოემბრის კანონს, ჩვენ არ უნდა შევიწყნაროთ იგიო (ტაშისცემა მარცხნიდან). ორატორი მიუბრუნდება მემარცხენეთ: „ნუ ჩქარობთ ტაშის ცემასაო, აწი მე როგორც შავრაზმელი ვილაპარაკებო“, და იწყებს „ინოროდცების“ ლანძღვას,—ამათ დაღუპეს რუსეთი და თემის დაცვა სწორედ იმიტომ გვინდა, რომ თემი წინააღმდეგობას უწევს ინოროდცების გამანადგურებელ თავდასხმას რუსებზეო (სიცილი მარცხნით, ტაშისცემა მარჯვნით).

ვოლკოვი მე-2 წინააღმდეგია 9 ნოემბრის კანონისა და ამბობს, რომ ვისაც მართლა უყვარს გლეხი, ის დაუჯერებს მემარცხენეთ და მხარს დაუჭერს კერძო მემამულეთა მიწების იძულებით გამოსყიდვის პროექტსაო. მიწათ-მოქმედების მინისტრი **თავ. ვასილჩიკოვი** გრძელ სიტყვას ამბობს 9 ნოემბრის კანონის სასარგებლოთ. კანონს სასოფლო-მეურნეობის თვალთსაზრისით უნდა შევხედოთ. სათემო მფლობელობა ტეხნიკის გაუმჯობესების მტერია და მხოლოდ მესაკუთრეს აქვს სტიმული კარგად მოუაროს მიწას და კარგად დაამუშაოს იგიო. დასავლეთ ევროპის მაგალითი გვეუბნება, რომ თემობის მოსპობასა და კერძო მესაკუთრეობის დამყარებას სოფლადაო მიწათ-მოქმედების პროგრესი მოჰყვაო. თავი დავანებოთ ევროპას; ავიღოთ თუნდ რუსეთიო: მაშინ როდესაც კერძო მესაკუთრეობის ქვეყანაში—პოლონეთში—დესეტინაზე გლეხს მოჰყავს 60 ფუთი ხორბალი სათემო რუსეთის გუბერნიებში ძლივს 9—8 ფუთი მოჰყავთო. ამით აიხსნება გამუდმებული შიმშილი რუსეთშიო. უნდა გავანთავისუფლოთ გლეხი თემის ბატონობისაგან, უნდა დავუსაკუთროთ მიწა და სამეურნეო პროგრესი უეჭველი იქნებაო, მხოლოდ ეს გვიხსნის აგრარულ კრიზისიდანაო.

ნიკიტიუკი (გლეხი) აცხადებს, მზად ვარ დავიცვა 9 ნოემბრის „კანონი, თუ მას მოჰყვება კანონი უმიწაწყლო გლეხთა და მცირე მამულიან გლეხთა დაკმაყოფილების შესახებ მიწითაო (ტაშისცემა მარცხნით) მოგვცენ ის მიწები, რომელთაც მე-40 წლებში ვფლობდითო. ჩვენ მოგვატყუეს 1861 წელსაო.

სხდომა შესწყდა და 12 ნოემბრისათვის გადაიდო.

ჯარის დაცვა.

მე-14 სხდომაზე სათათბიროს მოხსენდა მთავრობის პროექტი ჯარიდან გაძევების შესახებ იმ პირთა, ვინც პოლიტიკურ საქმეების გამო სამართალში იქნება მიცემული ან ვინც პოლიტიკურ არა-საიმედოვნობის გამო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იქნება მიცემული. **აჯემოვი** აღნიშნავს, რომ ამგვარივე კანონი მთავრობამ მეორე სათათბიროსაც წარმოუდგინა, მაგრამ მაშინ იურიდიულად მაინც ჰქონდა იგი დასაბუთებული, ახლა-კი საბუთებიც მეტად მაჩნია, რადგან დარწმუნებულია, რომ სათათბირო, მესამე სათათბირო ისედაც შეიწყნარებს ყველაფერს, რაც ხალხის უფლების დამჩაგვრელი იქნებაო. **ლიახნიცკი** აღნიშნავს, რომ მეხანიკურად არ შეიძლება ჯარის დაცვა სარევოლიუციო იდეების გავრცელებისაგან. ამისათვის სხვა საშუალებაა საჭირო: დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაო. პროგრესისტების ფრაქციის სახელით **სოკოლოვი მე-2** აცხადებს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისა, რადგან მავნე ღონისძიებათ მიაჩნიათ იგი: მხოლოდ შფოთსა და განხეთქილებას გამოიწვევს ჯარში ასეთი კანონიო. **შურკანოვი** ს.-დ. მხრით აცხადებს, რომ ფრაქცია წინააღმდეგია კანონ-პროექტისა, რადგან იგი უფლებას ართმევს სრულ უფლებიან მოქალაქეთ—პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. **პურიშკევიჩი, ტომილინი** და **ნოვიცკი** მემარჯვენეთა სხვა და სხვა ფრაქციების სახელით აცხადებენ, რომ მხარს დაუჭერენ კანონ-პროექტს, რომელიც „გახრწნისაგან იცავს ჩვენს ჯარსაო“. ამასვე იმეორებს თითქმის ოქტომბრისტების ერთ-ერთი ლიდერი **კაპუსტინი**. კადეტების მხრით ლაპარაკობს ყოფილი გენერალი **ბობიანსკი**: ეს კანონ-პროექტი მიმართულია უმთავრესად რადიკალურ ახალგაზდობის წინააღმდეგ, მაგრამ განა მთელი ჩვენი ახალგაზდობა რადიკალური არაა? ვისღა წაიყვანთ ჯარში? მათი გაძევება-კი არაა საჭირო, არამედ პოლიტიკურ პირობათა ისეთი შეცვლა, რომლის დროს მთელი ახალგაზდობა რადიკალური აღარ იქნება. მთავრობის კანონ-პროექტი-კი არ დაიცავს ჯარს, პირიქით გახრწნის და გარყვნის მას (ტაშისცემა მარცხნით, ხმაურობა დასტვენა მარჯვნივ).

შემდეგ, სათათბიროს უმრავლესობა, პროგრესისტების, კადეტების, მაჰმადიანთა, ტრუდოვიკების და ს.-დემოკრატების ხმათა წინააღმდეგ, ამტკიცებს კანონპროექტს.

სათათბირო ამის შემდეგ განაგრძობს კამათს საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე კრედიტის გადადების შესახებ.

ქრონიკა

ტფილისი

✦ **ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი**. როგორც ხმა დადის, ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი ტფილისში გადმოჰყავთ.

✦ **აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული**. აკაკის იუბილეის მთავარ კომიტეტის დადგენილებით აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული სურათით ადგილობრივ კომიტეტებს დაეთმობათ $1^1/_2$ კაპეიკად. ადგილობრივმა კომიტეტებმა ეხლავე უნდა შეატყობინონ, რამდენი ცალი უნდათ. იმავე კომიტეტის დადგენილებით ღია წერილები აკაკის სურათით გაიყიდება 2 კ., აკაკის ფოტოტიპიური სურათი (ზომით 50—40 სანტიმეტრი) გაიყიდება 40 კ. ვისაც დიდი სურათი სურს, იმან უნდა საგანგებოდ შეუკვეთოს, რადგან სხვა ზომის სურათი ამ ჟამად არ მოიპოვება. ადგილობრივმა კომიტეტებმა ახლავე უნდა შეატყობინონ დეპუტაციების ჩამოსვლა, რომ დღესასწაულის წეს-რიგი შემუშავდეს. მთავარმა კომიტეტმა საიუბილეო დღედ უკანასკნელად გამოაცხადა 7 დეკემბერი.

✦ **მოსწავლეების დაპატიმრება**. ტფილისის ქართულ გიმნაზიის შეგირდები ნიკოლოზ ელიოზიშვილი, ივანე ნონიაშვილი, ვლადიმერ ტატიაშვილი, ირაკლი მიქელაძე, სიმონ ბრაგვაძე, ნიკოლოზ ფოფხაძე და კომერციულ სკოლისა ბენიამინ ბერმანი და აბრამ ჟუნჟუკოვი ტფილისის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით დააპატიმრეს სხვა და სხვა ვადით 3—7 დღემდე. მიზეზი ქუჩებსა და ტროტუარებზე შეკრების შესახებ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაა.

✦ **საისტორიო საზოგადოების კრება**. დღეს, 18 ნოემბერისთვის, დანიშნულია ჩვეულებრივი კრება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. კრებაზე გორგაძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგის სათაურით „ადერკი მეფიდან მირიანამდე“ (I—III საუკუნე ქრისტეს დაბადების შემდეგ).

✦ **ნინო ნაკაშიძის განთავისუფლება**. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში გაანთავისუფლებენ ამას წინად დაპატიმრებულ მწერალ ქალს ნინო ნაკაშიძისას.

✦ **ცეცხლი**. 16 ნოემბერს, შუადღის სამ საათზე, სურპ-ნიშანის ქუჩაზე ცეცხლი წაეკიდა ტფილისის ვაჭრის სეილანოვის სახლს. სეილანოვის სახლში მოთავსებული იყო მე-5 საპოლიციო ნაწილის კანცელარია, საიდანაც დროზე მოუსწრიათ საქმის ქაღალდების გატანა. ზარალი, სეილანოვის სიტყვით, 10,000 მანეთს უდრის. სახლი დაზღვეული ყოფილა.

✦ **ტფ. გენერალ გუბერნატორის განკარგულებანი**. ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სხვა და სხვა დროს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, დაჯარიმებულ იქმნენ: ტფილისის მცხოვრებნი: ვაკსან ამიროვი, სარდაროვი, ვასილ ნარაზოვი და არტემ აკოპ[illegible] 25 მ. თითო; იაკობ სამოდუროვი [illegible] ზვანი, მაზ[illegible] და [illegible] ახვერდოვი 10 მ. თითო; დუნიმიალოვი და ჩიქოვანი 5 მ. თითო; გასპარიანცი 100 მ. და მოსესოვი 3 მანეთით. სოფ. ტბეთის მცხოვრები გიორგი დიმიტრის ძე მაისურაძე, ვიატკის გუბერნიიდან თავის ნებით გამოქცევისთვის, სამის თვით დაპატიმრებულ იქმნა, რის შემდეგ ისევ ვიატკის გუბერნიაში გაიგზავნება, სპარსეთის ქვეშევრდომნი მეშადირზა-ხადუი-ოღლი, ნაგი ბეკ-ბაბა-ბექ ოღლი, როგორც საზოგადო მშვიდობიანობის დამრღვევნი გაიგზავნებიან თავიანთ სამშობლოში.

✦ **აკაკის იუბილეი**. 15 ნოემბრის მომხდარ ქართველ ქალთა კრებამ აკაკი წერეთლის იუბილეის შესახებ გადასწყვიტა შემდეგი: ქალებმა განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღონ აკაკის 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაულში, დელეგატებად გაიგზავნოს სამი ქალი. ფარულის კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ნინო ყიფიანისა, დომინიკა განდეგილი და მარიამ დემურია. გადასწყვიტეს კიდევ: მიერთვას ადრესი, შოთა რუსთველის ქუდი, ხელოვნურად გაკეთებული ვერცხლის კალმით და ძვირფასის თვლით და „ვეფხის-ტყაოსანი“ ძვირფასის ყდით, ზედ-წარწერით და აკაკის ვენზელით. საჩუქრებისთვის საჭირო თანხის შეგროვება ამ კრებამ გადასწყვიტა ამ რიგად: კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობისაგან შედგენილი წვლილი კომისიამ იქვე ჩაიბარა და დანარჩენისათვის ქალთა შორის ხელის მოსაწერი სიები გადაეცა წ. კ. საზოგ. ბეჭდით ათს ქალს. თუ საჩუქრებს გადარჩა რამ შეგროვილი თანხიდან, აკაკის ფონდისათვის გადაიდება.

✦ **ქართული თეატრი**. ქართულ დრამატიულ დასის არტისტები ამ ჟამად ამზადებენ შიუკაშვილის პიესას „მეგობრობა“-ს ლეონიძის „ხელები“-ს და „სამშობლოს“. ამასთანავე ითარგმნება ამ სეზონში დასადგმელად ფულდის პიესა „სულელი“ (Дуракъ).

ფელეტონი

ადამიანის ბუნებიდან

სიცოცხლის ხანგრძლიობა და სიკვდილი

როგორც ვიცით, ორგანიულ ბუნებაში სიცოცხლეს ყოველთვის თანასდევს სიკვდილიც, ესე იგი იმ გვარი მოვლენა, რომელიც ხასიათდება სხეულის დარღვევით და დეზორგანიზაციით. ყოველივე ორგანიული სხეული ისეა მოწყობილი, რომ იგი თანაც სცოცხლობს და თანაც კვდება. სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესსები მჭიდროდ არიან გადაბმულნი ერთმანეთზე. სულ უბრალო ერთ უჯრიანი არსება იმდენად იჩენს სიცოცხლის მოქმედებას, რამდენადაც მისი სხეულის ნაწილები კვდებიან და იმოსებიან ახალ ნაწილებით. სიკვდილიც და აღდგენაც შეადგენენ თვით პროტაპლაზმის თვისებას. დეზორგანიზაციის პროცესს მოჰყვება თვით დარღვევა და თვით შედგენის პროცესს თვით განვითარება. ამასთან სიცოცხლის მოვლენა ხასიათდება არა თუ მუდმივის ნივთიერების შეცვლით, თვით დაშლის მუშაობით და პროტაპლაზმის თვით შედგენით, არამედ ამ უკანასკნელის გადამეტებითაც. ეს თვით შედგენის მოქმედება, სიცოცხლის შთაბერვა არა თუ აახლებს იმას, რაც მიაქვს სიკვდილს, არამედ ამრავლებს კიდეც. უეჭველია, თვით შედგენის მოქმედება რომ არ სჭარბობდეს დეზორგანიზაციის პროცესს, ორგანიული ბუნება ვერ შესძლებდა ზრდას და განვითარებას, ამათ აღარ ექნებოდათ ადგილი ბუნებაში და ამ რიგად სიცოცხლის მოვლენანი შეჩერდებოდნენ თავიანთ მსვლელობაში.

ავიღოთ რომელიმე სულ უბრალო ორგანიული არსება, მაგ. ბაქტერია: მთელი დღის განმავლობაში ეს ბაქტერია სჭამს და ინელებს იმდენ საჭმელს, რომელიც ასჯერ და ორასჯერ აღემატება მისს წონას. ის არა თუ სცხოვრობს ამ საჭმლით, არამედ კიდეც მრავლდება გასაოცარის სისწრაფით, მას ამ ჭამის გამო მუდმივ უჩნდებიან სულ ახალ ახალი არსებანი; ამ შემთხვევაში ბაქტერიის სხეულში სიცოცხლეს შეაქვს თავისი თვისებანი, გარდაქმნის მათ და ამ რიგად თან და თან ავრცელებს თავის მოქმედებას: პაწაწა პროტოპლაზმა ხშირად სულ ერთიანად სცვლის აუარებელ უსიცოცხლო ნივთიერებას, ითვისებს მისს შინაარსს და იძლევა ახალ სიცოცხლეს, ამასთანავე პროტაპლაზმა სრულად ითვისებს ამ ნივთიერებას და აღბეჭდავს მასში ყოველსავე ბიოლოგიურ თვისებას. ბევრიც რომ ვეძიოთ ბუნებაში ვერსად ვერ შევხვდებით სხვა იმ გვარ ღრმა ცვლილებას, რომელსაც განიცდის უსულდგმულო არსება ცოცხალ პროტაპლაზმის გავლენით.

ამ გვარ მოსაზრების შემდეგ შესაძლოა სიცოცხლე გავითვალისწინოთ, როგორც გარეგან პირობებთან შეწყობილების შედეგი? სიცოცხლეს თვით შეაქვს ცვლილებანი ამ გარემოცულ მოვლენაში, იგი სცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენა ბუნებაში და რამდენადაც შესაძლოა, კიდევაც აღწევს თავის მიზანს. ამ მხრით ბუნებრივ სიკვდილს სულ სხვა ელფერი ედება: სიკვდილი ასალმებს ამ წუთი სოფელს მარტოკა ცოცხალ ორგანიზმებს იმ მიზნით, რომ დაუთმოს ადგილი ახალ ორგანიზმებს და ისიც ამისათვის უფრო და უფრო აფართოვებს თავის გავლენას გარემოცულ პირობებში. ბუნებაში იმდენად არის გავრცელებული ეს მოვლენა, რომ, მაგ., ზოოლოგიურად დაბლა მდგომ ცხოველებს შორის ჩვენ ვერა ვხედავთ სხვა რომელიმე ბუნებრივ სიკვდილს, რომელიც არ იყოს დამოკიდებული მუდმივ გამრავლებაზე.

ამ საკითხის გასათვალისწინებლად ფრიად საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს ფრეიბურგის პროფ. ვეისმანი („სიცოცხლის ხანგრძლივობა“, „სიცოცხლეზე და სიკვდილზე“) და ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ეს მოსაზრებანი.

გავრცელებულია ის აზრი, რომ სიკვდილი აუცილებელი მოვლენაა, რომ ეს მოვლენა წარმოსდგება თვით ორგანოვან არსებათა ბუნებიდან. საზოგადოდ რომ ვთქვათ, ეს დებულება უეჭველია. ყოვლად მართალია, რომ ორგანიზმის სხეულის ზოგიერთი ნაწილები კვდებიან, ზოგიერთი ახლდებიან. ამ მხრით სიკვდილი, რასაკვირველია, აუცილებელი მოვლენაა; მაგრამ იმოდენადვეა აუცილებელი თვით ორგანიზმის სიკვდილი? ნუ თუ ორგანიულ ბუნებაში არ მოიძებნებიან იმ გვარი არსებანი, რომელთაც არა იცოდნენ რა ბუნებრივ სიკვდილისა? ერთის შეხედვით ამ გვარი კითხვა უცნაურია, მაგრამ როდესაც ვუკვირდებით სიცოცხლის მოვლენას, ვრწმუნდებით, რომ აქ უცნაური არა ყოფილარა. ამის დასამტკიცებლად მივუბრუნდეთ მაგალითებს. ავიღოთ ბეგონია, გავყოთ რამოდენსამე ნაწილად და ყოველივე ცალკე ნაწილი ჩავსვათ მიწაში; რამოდენისამე ხნის შემდეგ ვნახავთ, რომ ყოველ ცალკე ნაწილიდან გაიზრდება ახალი ბეგონია. ავიღოთ კიდევ გველეშაპი, დავჭრათ რამდენიმე ნაწილად, აქაც განსაზღვრულ ხნის შემდეგ ყოველ ნაწილიდან გამოვა ახალი გველეშაპი. სადაა აქ სიკვდილი? არც ერთი ნაწილი ბეგონიისა ან გველეშაპისა აქ არ მომკვდარა. ჩვენ მხოლოდ ხელოვნურად დავანაწილეთ ბეგონია და გველეშაპი და ყოველ ნაწილიდან გამოვიდა ახალი არსება. უეჭველია ამ გვარ დანაწილებას ვერ აიტანენ სხვა ცხოველთა წარმომადგენლები, ისინი, რასაკვირველია, დაიხოცებიან. მაშასადამე, რა მიზეზია ბეგონიის ან გველეშაპის უკვდავებისა? საქმე იმაშია, რომ ბუნებაში ბევრი იმ გვარი არსებაა, რომელნიც განირჩევიან თავიანთ სხეულის გაყოფით. ამ გვარ არსებებს ეკუთვნიან სულ უბრალო ერთ უჯრიანი ორგანიზმები. როგორც ვიცით, ესენი მრავლდებიან დედობრივ ორგანიზმის ორად ან მეტად გაყოფით; ყოველსავე ახალ განაყოფ ნაწილიდან იზრდება ახალი ერთ უჯრიანი არსება, ეს ახალი არსება კიდევ იყოფა და, ამ რიგად, ეს გაყოფა შეუწყვეტლად მომდინარეობს და გადადის ჩამომავლობიდან ჩამომავლობაზე. მწარმოებელი არსება იყოფა ნაწილებად, აქ სიკვდილს ადგილი არა აქვს: ნაწილები ცოცხლობენ და ვითარდებიან ახალ არსებად, ორგანიზმის დედობრივი სხეული სულ ერთიანად გადადის ახლობელ ჩამომავლობაში და სიკვდილს აღარა რჩება-რა.

ამ გვარი მაგალითების შესწავლის შემდეგ ვეისმანი ამტკიცებს, რომ ერთ უჯრიანი ორგანიზმები არა კვდებიან ბუნებრივის სიკვდილითაო. რასაკვირველია, ისინი მრავლად იხოცებიან, მაგრამ იხოცებიან გარეგან ძალდატანებითი პირობების გავლენის გამო. ბუნებრივ სიკვდილით კვდებიან მხოლოდ ბევრ უჯრიანი ორგანიზმებიო. ერთ უჯრიანი სხეულნი არა კვდებიან ბუნებრივის სიკვდილით, ერთის მხრით, იმისთვის, რომ მათი სხეული სულ ერთიანად იხარჯება გამრავლებისათვის, მეორეს მხრით იმისთვის, რომ აქ ყოველივე ცოცხალი არსება წარმოადგენს იმგვარ უჯრას, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს ახალ ჩამომავლობის გაჩენაშიო.

აქედან ადვილი წარმოსადგენია, ბუნებრივ სიკვდილს უნდა ჰქონდეს ადგილი იმ უჯრებს შორის, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ გამრავლების პროცესში, ბუნებრივი სიკვდილი დამოკიდებულია ორგანიზმის აგებულების სირთულეზე. ის იკიდებს ფეხს მაშინ, როდესაც მისს უჯრებს შორის მყარდება ფიზიოლოგიურ შრომის გაყოფა და როდესაც თვით ეს უჯრები შეეწყობიან სხეულის არსებობისათვის მოთხოვნილებას; ამგვარ უჯრებს ვეისმანი უწოდებს სახელად **სომატიური** უჯრები, იმ უჯრებს კი, რომელნიც მარტოკა თვითონ იღებენ მონაწილეობას ახალ ჩამომავლობის გაჩენაში—**რეპროდუქტიურ** უჯრებს.

როგორც ნათქვამი იყო, ერთ-უჯრიან ორგანიზმის დედობრივი სხეული გაყოფის დროს სულ-ერთიანად გადადის ახალ ჩამომავლობის სხეულში; ბევრ უჯრიან სხეულიდან გამრავლების დროს გადადიან მხოლოდ რეპროდუქტიური უჯრები, სომატიური უჯრები კი კვდებიან; ამრიგად ბევრ უჯრიან სხეულისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ რეპროდუქტიურ უჯრებს, ვიდრე სომატიურს. რეპროდუქტიური უჯრები ბევრად აჭარბებენ თვით ორგანიზმს, მარტოკა ესენი იღებენ მონაწილეობას სიცოცხლის გაგრძელებაში, მარტოკა ამათ მოაქვთ სარგებლობა სხეულისათვის, ამათზეა დამყარებული სხეულის კეთილდღეობა, სომატიური უჯრები კი წარმავალნი არიან, ისინი არას ეხმარებიან სხეულს, არ იღებენ მონაწილეობას სიცოცხლის გაგრძელებაში და ამისათვის მათი არსებობაც შეზღუდულია და უფრო ნაკლები რეპროდუქტიურ უჯრებთან შედარებით.

მაშასადამე, გამოდის რომ ბუნებრივ სიკვდილს ადგილი არა ჰქონია ერთ-უჯრიან ორგანიზმებ შორის იმის გამო, რომ ეს ორგანიზმები შედგენილნი ყოფილან რეპროდუქტიურ უჯრებისაგან; იგი ხვედრი ყოფილა მარტო რთულ ორგანიზმისა, რომელიც შესდგება როგორც რეპროდუქტიურ, ისე სომატიურ უჯრებისაგან. როდესაც კვდება ორგანიზმი ბუნებრივის სიკვდილით,—ამბობს ვეისმანი,—მას ეხოცება სომატიური უჯრები, რეპროდუქტიურ უჯრებს კი შეუძლიანთ განაგრძონ სიცოცხლეო“. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, დაბალ საფეხურზე მდგომ ბევრ-უჯრიან ორგანიზმებს სომატიური უჯრები ძლიერ ცოტა აქვთ, მათი სხეული თითქმის მარტო რეპროდუქტიურ უჯრებისაგან შესდგება, ამისათვის აქ ბუნებრივ სიკვდილსაც აღარა რჩება-რა. მაგრამ სხეული რაც უფრო რთულია და მაღლა სდგას ზოოლოგიურ საფეხურზე, მით უფრო სავსეა მისი სხეული სომატიურ უჯრებით და ღარიბი რეპროდუქტიურით. ამ რიგად, სხეული რაც უფრო მეტად ვითარდება, მით უფრო ეტყობა მას ბუნებრივი სიკვდილიო, ამბობს პროფ. ვეისმანი.

შესაძლებელია მართალი იყოს ამ გვარი აზრი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს აზრი მაინც ვერ გვითვალისწინებს სიკვდილის მომდინარეობას, მისს საჭიროებას. ვეისმანი ლაპარაკობს რეპროდუქტიურ და სო-

✦ **ლექციის აკრძალვა.** 15 ნოემბერს უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესწავლად ბ-ნ ს. გორგაძეს უნდა წაეკითხა ლექცია ამ თემაზე: „სახელმწიფო და ეკკლესია ძველ საქართველოში“. ადმინისტრაციამ აკრძალა ეს ლექცია.

✦ **შეპყრობა.** საბურთალოში, რუსულ გაზეთების სიტყვით, შეუპყრიათ ტფ. სათ.-აზნაურო გიმნაზიის მოწაფედ ნამყოფი ივანე გველაძე, რომელსაც ჰბრალდება ყოფილ პოლიცმეისტრის მარტინოვს (ეხლა იგი კიევშია პოლიცმეისტრად) მოკვლის განზრახვა 1906 წელს.

✦ **სამხედრო გუბერნატორები.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, უმაღლესს მთავრობას აზრადა აქვს თურმე, კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში სამხედრო გუბერნატორები დანიშნოს და ამის შესაფერი წესებიც შემოიღოს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ამ ბოლო დროს არ შესდგა ოთხი სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტისა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გამგეობის წევრებმა არ ინებეს მისვლა, ალბად სიზარმაცით. ქართული ანდაზაა: „ახალი ცოცხი კარგადა ჰგვისო“, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ანდაზაც არ გამართლდა.

✦ **ოსური გაზეთი.** ტფილისში მცხოვრებს მიხეილ ხეთაგუროვს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს გამოსცეს ტფილისში ოსური გაზეთი „ფარნ“.

● 15 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ნატალია ტიგრაიოვს სახლში შეუვარდა 2 ყმაწვილი კაცი და ფული მოსთხოვა. ნატალია ტიგრანოვმა 1 მანეთი მისცა. რის შემდეგაც ბოროტ განმზრახველებმა წააქციეს ნატალია ტიგრანოვისა და ცემა დაუწყეს, ამის შემდეგ ყელში წაუჭირეს, რაზედაც ნატალია ტიგრანოვისამ ყვირილი შეჰქმნა. ბოროტ განმზრახველებს შეემინდათ და გაიქცნენ.

● 1 ნოემბერს რივკა ბურიძემ პოლიციას შეატყობინა, რომ მასთან მყოფმა შალიმვილმა რაზილმა, 17 წლისამ, მოჰპარა სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 380 მანეთად. პოლიციამ შეიპყრო ბერძის შვილი რაზილი.

● გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ამა წლის 15 ივნისს უგზო-უკვლოდ დაიკარგა თავის ბინიდან ერთად-ერთი შვილი დედისა გრიშა სვიმონის ძე ლაზარტყავა. მიღებულმა ზომებმა დღემდის უნაყოფოდ ჩაიარა. ბავშვი 12 წლისაა, შავთვალ წარბიანი, თეთრ ხალათში, წლოვანობის შედარებით საშუალო ტანისაა. ქმოჩლებო უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ვინც კი გაიგებს ან იცის რამე დაკარგულის შესახებ გამოაცხადონ პოლიციის ერთ-ერთ ნაწილში ან მდივნის სახლში, დიდუბის საყდრის ახლოს, N 24, დიდუბის ქუჩა.

ქუთაისი

✦ **ბანკში დაგირავებულ მამულების ვაჭრობა.** საჯარო ვაჭრობა ქუთაისის სათ.-აზნ. ბანკში დაგირავებულ მამულებისა დანიშნულია შემდეგ ვადებში: პირველი ვაჭრობა: ტფილისისა და ტფილისის გუბერნიის მამულებისა—12 დეკემბერს, ქუთაისისა—15 დეკემბერს, სხვა ქალაქებისა—18 დეკემბერს და სოფლის მამულებისა—21 დეკემბერს. მეორე ვაჭრობა: ტფილისისა და მის გუბერნიისა—21 იანვარს, ქუთაისისა—25 იანვარს, სხვა ქალაქებისა, 27 იანვარს და სოფლის მამულებისა—28 იანვარს.

✦ **გლეხების მამულით დაკმაყოფილება.** ახლო მომავალში, ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა გამგის მოწოდებით, მოხდება ტყის მცველთა და სახელმწიფო მამულების ზედამხედველთა კრება. კრების საგანია, როგორც გავიგეთ, სახელმწიფო გლეხების მამულით დაკმაყოფილება. დროც არის.

✦ **უარი ბანკის განყოფილების დაარსებაზე.** ქუთაისის ვაჭართა და სხვა დაწესებულებათა მიერ აღძრული შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ ქუთაისში, დღესაც გადაუწყვეტელია. როგორც ისმის, ტფილისიდან პეტერბურგში უცნობებიათ, განყოფილების დაარსება ქუთაისში აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენსო.

✦ **მეხუთე აფთიაქი.** რადგან რამდენსამე პირს შუამდგომლობა აღუძრავს მეხუთე აფთიაქის გახსნის შესახებ ქუთაისში, ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს, შუამდგომლობა აღძრას, რომ აფთიაქის გახსნის ნება ქალაქს მიეცეს.

✦ **გამგეობის წევრის არჩევნები.** 10 ამ თვეს გამგეობის წევრის არჩევნები არ მოხდა. ხმოსნები მრავლად შეიკრიბნენ. ისეთებიც-კი მოვიდნენ საბჭოს კრებაზე, რომელთაც მგონი საბჭოს კარებიც-კი დავიწყებული ჰქონდათ. როცა ქალაქის თავის ადგილი ხმოსნთაგან არჩეულმა თავმჯდომარემ სოლ. მიქელაძემ დაიჭირა, ხმოსნები შეუდგნენ იმის განხილვას, თუ რა ჯამაგირი დაენიშნოს გამგეობის წევრს. 21 ხმით წინააღმდეგ 15 ხმისა ხმოსნებმა 1500 მანეთის ნაცვლად გამგეობის წევრს დაუნიშნეს 1800 მ. ამის შემდეგ ქალაქის თავმა კვლავ დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და განაცხადა, ვიდრე საბჭოს დადგენილება ჯამაგირის მომატების შესახებ არ დამტკიცდება, არჩევანი შეუძლებელიაო.

✦ **მკვლელობა.** 10 ამ თვეს სვიმონეთში მიმავალ მემამულეს ჩიხლაძეს წყალ-წითელის ხიდთან ვიღაცები დაუხვდნენ და საფარიდან რევოლვერი ესროლეს. ჩიხლაძე სასიკვდილოდ დასჭრეს. მკვლელობის მიზეზი ჯერ არ იციან.

✦ სოფელ საქარაში ამას წინად თავს დაესხნენ ალ. საყვარელიძის სახლს იმ დროს, როცა სახლში ქალებისა და მოსამსახურეების მეტი არავინ იყო. მძარცველებმა გაიტაცეს იარაღი და მიიმალნენ. პოლიციამ ამ საქმის გამო დაატუსაღა ერთი კაცი, რომელიც ნაკაშიძეს ირქმევდა ხოლო სხვა კი აღმოჩნდა.

სასამართლო

დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება

გუშინ, 17 ნოემბერს, ტფ. ოლქის სასამართლო შეუდგა დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების საქმის განხილვას. ბრალდებულად მიცემულია: სამსახურის გარეშე კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი, სამსახურს გარეშე პორუჩიკი ვლადიმერ ცაგარელი, რაჭის მაზრის მცხოვრები კონსტანტინე ალავიძე, სპარსეთის ქვეშევრდომი იუხან-ბეკ იუნანოვ-აზატოვი, კონსტანტინე ციმაკურიძე, გიორგი კიკნაძე, არტემ ჩიქოვანი, ივანე თაქთაქიშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, კონსტანტინე ციციშვილი, რევაზ ციციშვილი და ვახტანგ ქართველიშვილი. სასამართლოში თავმჯდომარეობს ვ. თ. პოდილკო, წევრებად არიან: გ. ტურბანოვიჩის, ვ. მალკო და ნ. ფ. ილიაშენკო. ბრალსა სდებს პროკურორის ამხანაგი ლავროვსკი.

ბრალდებულებს იცავენ: გედევანიშვილსა და ცაგარელს—ნაფიცი ვექილი კლანკი; ქართველიშვილს—გ. ბ. გვაზავა; კონსტან. და რევაზ ციციშვილებს და კონსტან. ციმაკურიძეს—ი. ბარათაშვილი; იუხან-ბეკ აზატოვს—გრუზენბერგი; ივ. თაქთაქიშვილს და კიკნაძეს—ა. ი. ყანჩელი, კონსტ. ალავიძეს—პ. გედევანიშვილი და გიორგი თაქთაქიშვილს—ტურკევიჩი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა დილის 11 საათზე და ბრალდებულთა ვინაობის შეკითხვის შემდეგ მოიკითხა მოწმენი. მოწმეთაგან სასამართლოში არ გამოცხადდა 14-მდე კაცი. ზოგისთვის უწყება ვერ ჩაუბარებიათ, ზოგი რაღაც მიზეზით არ გამოცხადებულა. ბრალმდებლის ამხანაგმა მოითხოვა საქმის გადადება და ყველა მოწმის დაბარება. ხაზინის წარმომადგენელი ნაფიცი ვექილი ბარხუდაროვი მიემხრო ბრალმდებლის თხოვნას საქმის გადადების შესახებ. ვექილმა კლანკმაც ითხოვა საქმის გადადება, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს დუშეთის ყოფილ ბოქაულის, ამ საქმის მოწმის სულხანიშვილის გამოცხადებასაო. ვექილებმა დ. გედევანიშვილმა და ალ. ყანჩელმა-კი ითხოვეს საქმის გარჩევა.

ერთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ სხდომა განაგრძო, რადგან შესაძლებლად სცნო არ გამოცხადებულ მოწმეთა ჩვენების ჩამოურთმევლად საქმის გარჩევა.

შეუდგნენ საბრალმდებლო ოქმის კითხვას, რამაც საათ ნახევარი გასტანა. დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების გარემოება, ეჭვი არ არის, ეცოდინებათ მკითხველებს, რადგან ადგილობრივ გაზეთებში უკვე იყო თავის დროზე ოქმი დაბეჭდილი. საბრალმდებლო ოქმით იოსებ გედევანიშვილს და ვლადიმერ ცაგარელს ჰბრალდებათ ის, რომ მათ მოინდომეს დუშეთის სამაზრო ხაზინიდან ფულის გატაცება; ამ აზრით, როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, ისინი წინ და წინვე შეთანხმდნენ ევროპაში გაქცეულ ლევან და გიორგი კერესელიძეებთან, ნესტორ მალაღაშვილთან, იოსებ დავრიშევთან და სხვებთან. ძმანი კერესელიძენი სხვებთან ერთად შეიარაღებულნი თოფებითა, ყუმბარით და სხვა იარაღით 1906 წელს 13 აპრილს შეიპარნენ დუშეთის ხაზინაში, შეჰკრეს თოკებით ხაზინის მცველები ანტონი პეტკიუნოსი, ეგნატე პრაინისი, დიმიტრი ჭონქაძე და აგრეთვე მოხელე გრიგოლ მაზიტოვი და გაიტანეს 315,000 მანეთი. აზატოვს, ციმაკურიძეს, კიკნაძეს, ჩიქოვანს, ივანე და გიორგი თაქთაქიშვილებს თუმცა ფულის გატაცებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ შემდეგ, გაიგეს რა საქმის გარემოება, მიიღეს ნაწილი გატაცებულ ფულისა გიორგი კერესელიძისგან; კონსტანტინე და რევაზ ციციშვილს და ვახტ. ქართველიშვილს ჰბრალდებათ ის, რომ თუმცა არც მათ მიუღიათ მონაწილეობა ხაზინის გატაცებაში, მაგრამ ხელი შეუწყეს კერესელიძეებსა და ნესტორ მალაღაშვილს გაჰპაროდნენ ადმინისტრაციას საზღვარ გარეთ.

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულთ: სცნობენ თავს დამნაშავედ თუ არა. არც ერთმა თავი დამნაშავედ არ სცნო. ცოტა ხანს სხდომა შესწყდა. შემდეგ სასამართლომ დაჰფიცა მოწმენი და შეუდგა გამოძიებას.

სპარსეთის ამბები

რევოლიუციონერების გამარჯვება ადერბეიჯანში

უკანასკნელ კვირის განმავლობაში თავრიზელი რევოლიუციონერები მეტად მხნედ, ფიცხად და მარჯვედ მოქმედებდნენ. სათარ-ხანმა ამ ხნის განმავლობაში თითქმის ადერბეიჯანის ნახევარი დაიჭირა. წარსულ კვირას მისმა რაზმებმა აიღეს ქალაქები: მარაღა, დილმანი, ბინაბი, მარანდა, სალმასტი და ხოი. მარანდა 6 საათის მედგარ ბრძოლის შემდეგ აიღეს რევოლიუციონერებმა.

ენზელის საბაჟოზე დაცემა

ქალ. ენზელიში ხალხი დაეცა ადგილობრივ საბაჟოს, ხელში ჩაიგდო 20 ათასი თუმანი, მთავრობისთვის გამოგზავნილი და ცეცხლი წაუკიდა შენობას. საბაჟოების დირექტორი მორნარი წავიდა საქმის გამოსაძიებლად.

რეშტის გუბერნატორის გაგდება

რეშტში ხალხი აჯანყდა და ადგილობრივი გუბერნატორი გააგდო.

ოსმალელ ჯარის მოსვლა თავრიზში

გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალელ ჯარის ორი ბატალიონი, ქურთის ტანისამოსში გადაცმული, მოვიდა თავრიზში სათარ-ხანის საშველადო. თავრიზელები დიდებულად მიეგებნენ ოსმალელ ჯარს, სამხედრო სალმის ნიშნად ზარბაზნები ისროლეს. ფიქრობენ, რომ ერთი ბატალიონი ქალაქში დარჩება, მეორეს კი აჯანყებულ პროვინციების საშველად გაჰგზავნიანო.

„რუსკ. სლოვო“-ს თეირანელ კორესპონდენტისათვის ამას თაობაზე უთქვამთ სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლებს: „ამ წამს ჩვენ იმდენად უძლურნი ვართ, რომ პროტესტის გამოცხადებაც კი არ შეგვიძლიან. იმედი გვაქვს რუსეთის პროტესტისა, რადგან რუსეთიც დაინტერესებულია ამ საქმეშიო“.

სპარსეთის ელჩის წერილი

სპარსეთის ელჩმა სტამბოლიდან გრძელი წერილი გამოუგზავნა შაჰსა და სთხოვა: პოლიტიკურ ტუსაღებს ამნისტია მიეცი, კონსტიტუცია აღადგინე, მეჯლისი შეკრიბე და სისხლის რამდენიმე მუშტაიდი მოიწვიე ნეჯეფიდანო. ელჩი არწმუნებს შაჰსა, თვით ღმერთია მოწამე, რომ სამშობლოსადმი სიყვარულით ვხელმძღვანელობ, როდესაც ასეთს რჩევას გაძლევთო.

თავრიზის ენჯუმენის დეპეშა

თავრიზის ენჯუმენმა [illegible] ზავნა ყორესს, [illegible] მეთაურს, და [illegible] დმა ბრძოლაში იმოქმედოს რუსეთზე, რომ შაჰს დახმარება აღარ გაუწიოს, რადგან რუსეთის დახმარება რომ არ ჰქონდეს, შაჰი ვერას გახდება ხალხთან და კონსტიტუციის მოსპობას ვერ გაჰბედავსო.

რუსეთის ჯარის წამოსვლა ჯულფიდან

„რუსკ. სლ.“-ს ატყობინებენ ერევნიდან: „ჯულფაში ბრძანება მიიღეს, რომ რუსეთის მსროლელთა ბატალიონი სპარსეთის საზღვრიდან უკან დააბრუნეთო“.

ადრესი სათარ-ხანს.

პეტერბურგელი სტუდენტები თანაგრძნობის ადრესს უგზავნიან სათარ-ხანს. ადრესს უკვე 500 სტუდენტმა მოაწერა ხელი.

ბალკანეთი

ავსტრიის საქონლის ბოიკოტი

ვენის გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ ავსტრიელ საქონლის ბოიკოტმა მთლად მოსპო ავსტრიის ვაჭრობა ოსმალეთში. ავსტრიელ ვაჭრების ზარალი აქამდე აღემატება ნახევარ მილიარდ ფრანკსა. ვენაში მეტად ცუდ გუნებაზე არიან.

სტამბოლში შიშობენ, ვაი თუ ავსტრიულ საქონლისა და გემების ბოიკოტმა ომი გამოიწვიოს ავსტრიასთანაო. ავსტრიის ელჩმა პალავიჩინიმ ხელ-ახლად სთხოვა კიამილ-ფაშას, ღონისძიება მიიღეთ ბოიკოტის მოსასპობადო. პირველმა მინისტრმა უპასუხა, არავითარი დახმარება არ შემიძლიანო.

„ომი აუცილებელია“

„კასსე“-ს ატყობინებენ ბუდაპეშტიდან: „აქამდე იმედი ჰქონდათ, რომ ბალკანეთის საკითხი მშვიდობიანად გადაწყდებაო, მაგრამ ეს იმედი ეხლა შეიცვალა საზოგადო რწმენით, რომ ომი აუცილებლად მოხდებაო. ჰფიქრობენ, რომ ომი მომავალ ზამთარშივე დაიწყებაო.

იმავ გაზეთს ატყობინებენ ვენიდან: ბალკანეთის საკითხის გამწვავების გამო, 14 ნოემბერს ბირჟაზე ფასიან ქაღალდების კურსი დაეცა. ერენტალი ძლიერა სცდილობს საზოგადოების დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. ამბობენ,

---

მატიურ უჯრებზე, მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე, მათ ბიოლოგიურ მოქმედებაზე, მნიშვნელობაზე სხეულისათვის, მაგრამ საჭიროა თუ არა ეს სიკვდილი, საიდან წარმოსდგება, ამაზე არას გვეუბნება. მართალია, ბუნებრივ სიკვდილს ადგილი არა აქვს რეპროდუქტიურ უჯრედ შორის; ეს გარემოება გვიჩვენებს იმას, რომ სიკვდილის და გამრავლების პროცესებ შორის ყოფილა რაღაც კავშირი, მაგრამ აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება თვით სიცოცხლის ხანგრძლივობას და იმ პირობებს, რომელნიც ხელს უწყობენ ამ ხანგრძლიობას. ცნობილია, რომ ეს ხანგრძლიობა სხვა და სხვანაირია სხვა და სხვა ორგანიზმისათვის. არიან იმგვარი მცენარენი, რომელნიც სცოცხლობენ რამდენსამე დღეს ან კვირას, არიან იმგვარნიც, რომელნიც სცოცხლობენ ას, ათას წლიწადსაც. ესევე ითქმის ცხოველებზე: ზოგიერთის სიცოცხლის ხანგრძლიობა უდრის 200-300 წლიწადს, ზოგიერთისა—50-80 წ., მაგრამ არიან იმისთანებიც, რომელნიც სცოცხლობენ რამოდენსამე საათს.

რით აიხსნება ხანგრძლიობის ამგვარი სხვა და სხვაობა? ეს საკითხი დიდი ხანია აინტერესებდა სწავლულებს—მაგ. ფლურანსი სცდილობდა ამგვარი სხვაობა აეხსნა ორგანიზმის ზრდით და ზომის სხვაობით. დიდი ტანის ორგანიზმები პატარებზე მეტს ცოცხლობენ. მაგ., მუხის ხე ცოცხლობს 600-დან 1000 წლამდე; იაპონური ბობაბები 600 წელიწადს. არც ერთ დაბალ მცენარეს არ შეუძლიან იცხოვროს ამდენ ხანს. ამგვარსავე მაგალითებს ვხედავთ ცხოველებში: სპილო, მაგ., ცოცხლობს 200-300 წელიწადს, ცხენი 30-35 წ., თაგვი 6 წ., პაწაწა მწერები—ორ-სამ კვირას. ყველა ეს მაგალითი თითქმის ეთანხმება ფლურანსის აზრს, მაგრამ ბუნებაში ბევრ ისეთ მაგალითსაც ვხედავთ, სადაც ფლურანსის დებულება არა მართლდება, მაგ., სპილო სცოცხლობს 200-300 წ., და ამდენსავე სცოცხლობენ კაფალი და ქარიყლაპია თევზები; ცხენი სცოცხლობს 30-35 წ. და ამდენსავე სცოცხლობენ თხუნელა და კატა; ზღვის ანემონა, რომელიც მუქის ოდენაა, 50 წელიწადს ცოცხლობს; კიბო, რომელიც ღორზე თითქმის 200-ჯერ ნაკლებს იწონის სცოცხლობს იმდენსავე რამდენსაც ღორი; ზოგიერთი ჭიანჭველები, ჯონ ლებბოკის დაკვირვებით, 7 წლამდე სცოცხლობენ, თაგვი კი—6 წლამდე.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ რომ ტანის სიდიდესა და სიცოცხლის ხანგრძლიობის შორის ყოფილა რაღაც კავშირი, მაგრამ ამასთან შეუძლებელია იმისი თქმა, რომ სიდიდე უეჭველად ხანგრძლიობის მიზეზი იყოს. აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, საკითხი ჯერ კიდევ არ ყოფილა საფუძვლით გამორკვეული და მას ბევრი რამ ჰკლებია.

მეორეს მხრით, როგორც გვარწმუნებს ლოტტე, სიცოცხლის ხანგრძლიობა უნდა იყოს დამოკიდებული ცხოველთა ნივთიერების ჩქარ შეთვისებაზე და შეცვლაზე. მას შეუმჩნევია, რომ ის ცხოველები, რომელნიც ცოცხლობენ სწრაფის სიცოცხლით, ცოცხლობენ უფრო ნაკლებს, ვიდრე ის ცხოველები, რომელნიც განირჩევიან ნელის სიცოცხლით. მაგ. ბევრი ცივ სისხლიანი ორგანიზმი უფრო მეტს ცოცხლობს, ვიდრე ცოცხლობს, თბილ სისხლიანი არსებანი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში არც ეს აზრია მართალი. ყველა ცხოველებში უფრო ფრინველები განირჩევიან ნივთიერების ჩქარი შეცვლით, მაგრამ ბევრნი მათგანი დიდხანს ცოცხლობენ. საზოგადოთ, ფრინველების სიცოცხლის ხანგრძლიობა ბევრს რასმეს საინტერესოს გვიმტკიცებს და ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ ნივთიერების შეცვლის გარდა, სხვა გარემოებასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგალითად, ფრინველები არ ეკუთვნიან ცხოველთა სამეფოს დიდრონ წარმომადგენლებს, ამ მხრით ისინი უფრო დაბლა სდგანან, ვიდრე ძუძუმწოვარნი, მაგრამ ამათთან შედარებით ისინი განირჩევიან, ნივთიერების ჩქარი შეცვლით; ამის გამო, ლოტტეს რომ დავუჯეროთ, ისინი უფრო ნაკლებს უნდა ცოცხლობდნენ, ვიდრე ძუძუმწოვარნი. დაკვირვებანი კი სულ სხვას გვეუბნებიან: მაგ., პაწაწინა მგალობელი ფრინველები ცოცხლობენ 1—12 წ., მერცხლები 12—18 წ., გუგული 32 წ., თუთიყუში 100 და მეტს წელს; ზოგიერთი არწივი 120—160 წ., ქორი 150—160 წ., ზოგიერთი გარეული ბატი 100—140 წ., ყუვი 300 წლამდე (იხ. ი. თარხნიშვილის შრომა; „ხანგრძლივობაზე“).

საკმაოა ეს ციფრები შევუდაროთ ძუძუმწოვარ ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომ დავრწმუნდეთ, რომ ფრინველები უფრო მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ძუძუმწოვარნი. აქ მხოლოდ სპილოს და ვეშაპს შეუძლიანთ გვერდში ამოუდგნენ ფრინველებს; რაც შეეხება დანარჩენ ძუძუმწოვართ, თუმცა ფრინველები განირჩევიან დიდის ტანით და ნივთიერების ჩქარი შეცვლით, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლიობით მაინც დიდად ჩამოუვარდებიან მათ (შედარებით).

მაშ, რაა ამ გვარ სხვაობის მიზეზი? ვეისმანის აზრით, აქ ორ გარემოებას აქვს მნიშვნელობა: 1. ფრინველები ბევრ ძალას ჰკარგავენ ფრენის დროს და ამის გამო შედარებით ნაკლებ მრავლდებიან; 2. ფრინველებს მრავალი კვერცხი და ბღარტი ეღუპებათ გარეგან მიზეზების გავლენის გამო. ზოგიერთი ფრინველი წელიწადში სდებს ერთ ან ორ კვერცხს, ზოგიერთი კი (ქათამი, ხოხობი) 30—40 კვერცხს. საზოგადოდ, ის ფრინველები, რომელნიც ბევრს ფრინავენ, ცოტა კვერცხს სდებენ (არწივი, ქორი და სხ.). მაგრამ ფრინველებიც, როგორც ყველა ცხოველები, იძულებულნი არიან მუდამ იზრუნონ მოდგმის შენახვასა და გაგრძელებაზე და ამის გამო უნდა იცოცხლონ დიდ ხანს. ცოტას ხანს რომ იცოცხლონ, ხომ ვერას მოასწრებენ? შენიშნულია, რომ მათ ასს ბღარტში ერთი მეათედი ძლივს იზრდება ძუძუ-მწოვარნი კი ამ მხრით უკეთესს მდგომარეობაში არიან. მათ მტერი ისე ადვილად ვერას აკლებს და ამის გამო ამათთვის სიცოცხლის ხანგრძლიობასაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ესენი მცირე ხანშიაც ახერხებენ მოდგმის გაგრძელებას და შენახვას.

